სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულების N 1212

ქ. თელავი 13 დეკემბერი 2011 წ.

ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი გამგებლის მოადგილის თედო ხოსროშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ინფრა კონსტრაკშენ", მისი დირექტორის აკაკი ჯიქიას სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანი: ნაძვის ხის შესყიდვა-მიწოდება;
1.2 კლასიფიკატორის კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: 39298910-საშობაო ნაძვის ხე;
1.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა;
1.4 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 30000 (ოცდაათი ათასი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ტრანსპორტირებას და ნაძვის ხის მიწოდების ადგილზე მის პირველად მონტაჟს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ტექნიკურ დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ალდებულებები.

დ) მიმწოდებელმა შესრულებულ მომსახურებაზე სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

გ) გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელოს კონტროლი ინსპექტირების ჯგუფის საშუალებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების დასრულებისას.

5.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობა. მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის ღირებულება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი, როგორც ეტაპობრივი ისე საერთო, ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 50% ღირებულებით, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან

დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 14.2 პუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო პირობები

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდებული საქონლის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დაზიანება, წუნი და დეფექტი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით ან მოახდინოს მიწოდებული დაზიანებული საქონლის ახლით ჩაცვლება. ნაძვის ხის ელექტრო მოწყობილობის მუშაობის საგარანტიო ვადა შეადგნს ერთ წელს.

11.2 მე-11 პუნქტით განსაზღვრული პირობები არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს მე-9 პუნქტით განსაზღვრული სანქციებისგან.

12 დავების გადაწყვეტა

12.2 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.3 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 10 იანვრამდე.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადა განისაზღვრება 2011 წლის 25 დეკემბრამდე.

15 ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
თელავის მუნიციპალიტეტი	შპს „ინფრა კონსტრაკშენ"
მის: ქ. თელავი, ერეკლე მე-2-ს გამზირი N16	მის: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. N5
საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკი	სს „საქართველოს ბანკი"
ანგ. №GE31 LB01 2019 8781 1260 00	ა.N GE38 BG00 0000 0345 3339 00
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
სკ - 231280093	ს.კ. 404900023
ტელ: 835072300	
გამგებლის მოადგილე	დირექტორი
თეიმურ ხოსრომშვილი ----------	აკაკი ჯიქია ----------

დანართი N2

4. რეკვიზიტები:

4.1

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს „ინფრა კონსტრაქშენ“

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: აკაკი ჯიქია

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი ონიაშვილის ქ.#5

საიდენტიფიკაციო კოდი: 404900023

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:595308585

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE38BG0000000345333900

4.2. საგარანტიო ვადა და პირობები

ვიღებთ ვალდებულებას ნაძვის ხეზე, აღმოჩენილი დეფექტი და წუნი აღმოვფხვრათ საკუთარი ხარჯებით, ხოლო ელექტრო მოწყობილობის გამართულ მუშაობაზე ვიღებთ ვალდებულებას 1 წლის განმავლობაში

სატენდერო წინადადების ვადაა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

ხელმოწერა/ ბეჭედი ----------

თარიღი 13.12.2011

4. ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	წარმოშობის ქვეყანა და ტექნიკური მონაცემები	რაოდენობა	ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	საახალწლო ნაძვის ხე, მოსართავებით და განათებით	თურქეთი	1	30000 ლარი (ოცდაათიათასი)	ქ.თელავი ერეკლე II გამზ №16	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 25 დეკემბრამდე

(ხელმოწერა, ბეჭედი)

13.12.2011
(თარიღი)